ქ. თბილისის მერიის
არქიტექტურის სამსახურის
უფროსს ქ-ნ ნ. ღოღობერიძეს

მცხოვრები ქ. თბილისი,
ვაჟა-ფშაველას VII კვარტალი, 1ბ კორპუსი, ბ.130
მოქ. ნუგზარ გოგუას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო ნინო,

მიუხედავად ჩემი მრავაჯერადი მოთხოვნისა მიმელო პასუხი კითხვაზე: მიმდინარეობს თუ არა მშენებლობა გიორგი ბრწყინვალესა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთაზე „ა“ ბლოკისათვის განკუთვნილ (კოდი 01.10.06.014.102) სამშენებლო მოედანზე, რომელიც მეკუთვნოდა მე 720 მ^2 ფართი ვიდრე გახდებოდა 1220 მ^2 (ს.კ. 01.10.06.014.104) შპს „მიგ ჯგუფი“-ს მფარველებმა სამართლიანი სწორი პასუხი არ გამცეს ალბათ კორუფციული გარიგების გამო. მიუხედავად ამისა თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება (განჩინება) 20 ივლისი 2015 წელს, რაც აუცილებელი იყო ჩემთვის.

ქალბატონო ნინო,

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლად ყოველი მიზეზის გარეშე დავიბრუნებთ აღნიშნულ ფართს (720 მ^2) კანონიერი გზით.

გამომდინარე აქედან არ იქნას გამოყენებული რაიმე ფორმით ან სახით ჩემი კუთვნილი ფართი (კოეფიციენტისთვის ან სხვა რაიმე სახის ფორმის განმსაზღვრელად).

გთხოვთ გაითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ჩემს მიერ მეზობლებთან, პარტნიორებთან და ადვოკატთან ერთად 28.07.2015 წლის მდგომარეობით ნაკვეთი ს.კ. 01.10.06.014.102 დასურათდა და დაფიქსირდა ადგილზე. დღეიდან, რაიმე სახით აღნიშნული ფართის დაზიანება, გამოყენება, სარგებობა, ზარალის მიყენება თუ მოხდება სასამართლო დავის სრულ დამთავრებამდე, მაშინ ზარალის ანაზღაურებას სასამართლოს გზით დავაკისრებთ ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემი თხოვნა და ჩააყენეთ შესაბამისი ორგანოები საქმის კურსში, რათა არ მოხდეს კიდევ შპს „მიგ ჯგუფი“-ს მფარველობა.

წერილს თან ერთვის 20.07.2015 წლის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება – ოთხ გვერდზე.

პატივისცემით,

ნ. გრგუა და პარტნიორები

28.07.2015 წ.

ტელ: 599-55-99-48

საქმე № 2/14093-15

19144540532 17
www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

20 ივლისი, 2015 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე თამარ ჩიხლაძე

მოსარჩელე ნუგზარ გაგუა
წარმომადგენლები - გიორგი ყავლაშვილი, დავით ობგაიძე
მოპასუხეები შპს ,,მიგ ჯგუფი", (დირექტორი ირაკლი ჯოხიძე)
დავის საგანი: ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად მოპაუხისათვის მიღებული შესრულების - უძრავი ქონების ნატურით დაბრუნება
მოთხოვნა: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2015 წლის 17 ივლისს სარჩელით მომართა ნუგზარ გოგუას წარმომადგენელმა მოპასუხე შპს ,,მიგ ჯგუფის" მიმართ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად მოპაუხისათვის მიღებული შესრულების - უძრავი ქონების ნატურით დაბრუნებისმოთხოვნით.

ამასთან, შუამდგომლობის სახით ითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება კერძოდ, მოპასუხე შპს ,,მიგ ჯგუფს" აეკრძალოს ქ. თბილისი, დიდი დიღმის I მ/რ, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი IV (ნაკვეთი №1) ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, ქუჩა გიორგი ბრწყინვალე, №41 -ის წინ/ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალესა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთი 14/085) ქ. თბილისი დიდი დიღომი, გ. ბრწყინვალესა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვ 14/60) მდებარე უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი №01.10.06.014.104) ნებისმიერი ფორმით გასხვისება, იპოთეკით ან უფლებრივად სხვაგვარად დატვირთვა.

სართლო გაეცნო რა წარმოდგენილ განცხადებას, შეაფასა და გაანალიზა იგი, იდა დასკვნამდე, რომ ნუგზარ გოგუას შუამდგომლობა სარჩელის ბრუნველყოფის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191.1 მუხლის თანახმად მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტის თანახმად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს ,,ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან''. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტის თანახმად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს ,,მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა''.

საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, დიდი დიღმის I მ/რ-ში ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი IV (ნაკვეთი №1)/ ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, ქუჩა გიორგი ბრწყინვალე, №41, -ის წინ/ ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, გიორგი ბრყწინვალესა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი 14/085) ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, გ. ბრწყინვალესა და პ. იბერის გადაკვეთაზე (ნაკვ. 14/60), საკადასტრო კოდი №01.10.06.014.104 რეგისტრირებულია მოპასუხის საკუთრების უფლება.

სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მოსარჩელის ინტერესების დაცვას ემსახურება, იგი წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიების ისეთ სახეს, რომლის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება და მისი აღსრულების ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით იგი მოპასუხის უფლებისა თუ ინტერესის შევიწროებას გულისხმობს, თუმცა იგი არ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც მოპასუხის უფლებების უპირობოდ შემზღუდველი ღონისძიება. ამიტომ, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად უნდა იმსჯელოს, გამოიყენოს თუ

არჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შესაძლოა ერთი მხარის იმარეობა გაუმჯობესდეს, მეორისა კი_პირიქით.

ასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემეობას, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად „ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ყადაღის რეგისტრაცია გამორიცხავს ამ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე რაიმე სხვა უფლების რეგისტრაციას, გარდა ყადაღადადებული უძრავი ნივთის მართლზომიერი მფლობელის საკუთრების უფლების ან ყადაღადადებული ნივთისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იძულებითი განკარგვის შედეგად წარმოშობილი უფლების რეგისტრაციისა''.

სასამართლო როგორც განმცხადებლის (მოსარჩელე), ასევე მოწინააღმდეგე (მოპასუხე) მხარის თანასწორობისა და იმის გათვალისწინებით, ვინაიდან ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების ძალაში შესვლაზე, არამედ მოპასუხის ნებაზე, მან უნდა განახორციელოს გარკვეული მოქმედება მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისათვის, ასეთი ნების არარსებობის შემთხვევაში კი გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებული ხდება ისეთ საშუალებაზე, როგორიცაა იძულებითი აღსრულება, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულების (იძულებითი აღსრულება) საშუალება კი შესაძლებელია იყოს მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონება, სასამართლოს მიაჩნია. რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე მხარეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შედეგის მიმართ გააჩნია დაცვის ღირსი ინტერესი და ზემოთმითითებული გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ გამოყენებული უნდა იქნას დავის საგნის ტოლფასი უზრუნველყოფის ღონისძიება, რის გამოც ნუგზარ გოგუას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ კი - მოპასუხეს უნდა აეკრძალოს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე: ქ. თბილისი, დიდი დიღმის I მ/რ-ში ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი IV (ნაკვეთი №1)/ ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, ქუჩა გიორგი ბრწყინვალე, №41, -ის წინ/ ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, გიორგი ბრყწინვალესა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთგ 14/085) ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, გ. ბრწყინვალესა და პ. იბერის გადაკვეთაზე (ნაკვ. 14/60), საკადასტრო კოდი №01.10.06.014.104 გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. სარჩელის უზრუნველყოფის ამ კონკრეტული ღონისძიების შედეგად მიიღწევა ის ინტერესი, რომელიც განმცხადებელს (მოსარჩელეს) აქვს სარჩელის მიმართ. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში იარსებებს ქონება, საიდანაც შეიძლება მოხდეს იძულებითი აღსრულება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
191-ე, 193-ე, 194-ე, 195-ე, 198-ე, 199-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ნუგზარ გოგუას შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახ
დაკმაყოფილდეს.

2. მოპასუხე შპს ,,მიგ ჯგუფს" (ID 405017379) აეკრძალოს მის საკუთრებაში არსებულ
უძრავი ქონების მდებარე: ქ. თბილისი, დიდი დიღმის I მ/რ-ში ცენტრალური გზი
მიმდებარედ, უბანი IV (ნაკვეთი №1)/ ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, ქუჩ
გიორგი ბრწყინვალე, №41, -ის წინ/ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი
გიორგი ბრწყინვალესა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი 14/085
ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, გ. ბრწყინვალესა და პ. იბერის გადაკვეთაზე (ნაკვ
14/60), საკადასტრო კოდი №01.10.06.014.104 გასხვისება, იპოთეკით ან უფლებრივად
დატვირთვა.

3. განემარტოს განმცხადებელს, რომ თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული
ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა
სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ
სასამართლომ ამ კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გააუქმა
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც
მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც
მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად.

4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განჩინების ასლის მხარეთათვის ჩაბარების
მომენტიდან 05 (ხუთი) დღის ვადაში.

მოსამართლე: თამარ ჩიხლაძე